№ 223
1877

# ივერია

№ 223
1903

ოკდომბერი. 18, შაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკდომბერი 18, შაბათი 1903 წ.

პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია,

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად აკვარელით (ფერადებით) საუცხოვოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიის მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.

„ც ო დ ნ ა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება. | ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და უცვლის ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწვდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც ფას-დადებით.

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

კნ. მარიამ სვიმონის ასული ფალავანდიშვილისა, თ-დი ივანე, დიმიტრი და ზაქარია გიორგის ძენი ფალავანდიშვილები, ალექსანდრა ყანჩელისა, კნ. სალომე ამირეჯიბისა, კნ. ანეტა ამილახვრისა, კნ. დარია სუმბათაშვილისა და კნჟ. თამარ გიორგის ასულნი ფალავანდიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პეტერბურგში გარდაცვალებულ პირველის საყვარელის შვილის და დანარჩენების ძვირფასის ძმის გვარდიის პორუჩიკის,

თავ. სვიმონ გიორგის ძის ფალავანდიშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქმნება პანაშვიდები ყოველ დღე და 21 ოკდომბერს, დილის 9 საათზე. წირვა და პანაშვიდი სოფელ კნოლევში.

(2—226—1)

„ივერიის“ რედაქცია, აუწყებს რა უდროვოდ გარდაცვალებას თვისის თანამშრომლის, მწერლის

დ. ნადირაძისას (მახხანელი)

სთხოვს ქართველ საზოგადოებას დაესწრნენ წირვასა და პანაშვიდს, რომელიც იქმნება მის სახსენებლად გადახდილი ქვაშვეთის ეკკლესიაში კვირას, 19 ოკდომბერს, დილის 11 საათზედ.

(2—1)

მომღერალი

ფ. ქორიძე ასწავლის გალობა-სიმღერას და იტალიურ ენას. ქალი მისი ვალენტინა—ფორტეპიანოზე დაკვრას და ფრანგულ ენას. ერმოლოვის ქუჩა № 7. ნახვა შეიძლება დილის 10—1 ს. და სალ. 4—6 ს.

(5—უ—4)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

ავლაბრის ახალი თეატრი № 6.

შაბათს, 18 ოკდომბერს 1903 წ.,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტ. დრამა 5 მოქმ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძისა, მ. მდივანი, ნებიერიძისა. ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

რეჟისორი გედევანოვი.

წარმოდგენა № 9. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 19 ოკდომბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

მურად-ფაშა

დრამა 4 მოქ. თხზ. ბ—ლისა.

II

თილისმის ხანი

კომედია 2 მოქ. გ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. რონელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა, ჩ. ჯავახიშვილი ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი აკაკი.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 18 ოკდომბერს 1903 წ.

წარმოდგენილი იქნება

ფრა-დიავოლო

ოპერა 3 მოქ., მუსიკა დ. ობერისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი: კარტავინა, სელიუკი; ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, გლადკოვი, შმაკოვი, სანკურსკი, გრინიოვი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი ბ-ნი ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.

დ. საწყისი საღამოს 8 საათზედ.

ანონსი: ხვალ, კვირას, 19 ოკდომბერს, ორი წარმოდგენა იქნება: დილით „ცარსკაია ნევესტა“ და საღამოთი „კარმენ“.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ვადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი ა. ი. შჩერბინინა. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. $7^1/_2—8$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $8^1/_2—8$ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი მ. კ. იოსელიანი—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## მთავრობის განკარგულება.

უმაღლესად დამტკიცებული 12 ივნისს 1903 წ. მინისტრთა კომიტეტის აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება მთავრობის დაწესებულებათა გამგეობას ჩაბარდეს და ზემოხსენებულ ეკლესიის იმ ქონებისა და თანხების შესახებ, რომლითაც ინახებოდა სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო სასწავლებელნი და რომელნიც საერო განათლების სამინისტროს გამგეობაში უნდა გადაიცეს.

ხელმწიფე იმპერატორმა, მინისტრთა კომიტეტის აზრის თანახმად, 12 ივნისს 1903 წ. უმაღლესად ბრძანება ინება:

I. სომეხ გრიგორიანთა ეკლესიის ქონება სათანადო სამინისტროთა უწყებასა და გამგეობას გადაეცეს შემდეგის განწესების ძალით:

1) ყველა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებს, მონასტერთ, სასულიერო დაწესებულებასა და სასულიერო სასწავლებელთ, გარდა ქვემორე ჩამოთვლილისა (მუხლი 2 შენიშვნითურთ), ჩამოერთვას დამტკიცებულის წესით, სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო წოდებისა და დაწესებულებათა მმართველობას და გადაეცეს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობას, ხოლო ხსენებულ დაწესებულებათა თანხები გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეობას; ამასთანავე დაცულ უნდა იქმნას სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის საკუთრების უფლება ამ ქონებისა და თანხების შესახებ.

2) მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობას უნდა გადაეცეს შემდეგი ქონება სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიისა:

ა) მიწები ნაშენი და უშენი, რა გვარისა და სახელისაც უნდა იყოს, აგრეთვე ცალკე ტყეები, საძოვარი, სათიბი და თევზის საჭერი ადგილები, წისქვილები და სხვა; არ გადაიცემის მხოლოდ ის ადგილები, რომელზედაც აგებულია ეკლესიები, მონასტრები, სალოცავები და სხვა, აგრეთვე ის ადგილები, რომელზედაც აგებულია საეპისკოპოსო სახლები და შენობანი სასულიერო დაწესებულებისა, ქალაქისა და სოფლის სამრევლო სამღვდელოებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, ადგილები ეკკლესიებისა და სასაფლაოებისა გალავანში შეზღუდულნი და დასასრულ, სამღვდელოების ხელთ მყოფი სამოსახლო ადგილები, რომელნიც უჭირავთ ბაღებსა, ბოსტნებს, ხნულებს და სხვა, ზომით არა უმეტეს სამის დესეტინისა ყოველ სამრევლო ეკკლესიასთან, იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილები სხვებზედ არ გადაუციათ შემოსავლის გულისთვის, და

ბ) გადაეცემის სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის, სამღვდელოების და სასულიერო დაწესებულების სახლები და შენობანი, რომელიც საჭირო არ არის თვით სამღვდელოების საცხოვრებლად და საოჯახოდ—და ხსენებულ დაწესებულების მოსათავსებლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს წესი არ შეეხება პეტერბურგისა და მოსკოვის სომხის ეკკლესიის უძრავ ქონებასა და თანხებს.

3) ზემოხსენებულ წესებს უნდა ექვემდებარებოდეს აგრეთვე ის ქონება და თანხა, რომელსაც შემდეგში შემოსწირავენ ან უანდერძებენ აღნიშნულ დაწესებულებათ.

4) შემოსავალს ზემოხსენებულ ქონებიდან და თანხებს განაგებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხო რჯულთა სასულიერო საქმეთა დეპარტამენტი, რომელსაც მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უნდა გარდასცეს ანგარიში და შემოსავალი მის გამგეობაში მყოფ ქონებისა. ამ შემოსავლიდან გამოკლებული უნდა იყოს ყველა გარდასახადი, რომელიც გაწერილი იქნება ამ ქონებასა და ვალდებულებაზედ; აგრეთვე გამოკლებული უნდა იყოს ქვემორე ხსენებული ხარჯიც.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გადასცემს იმ სასულიერო დაწესებულებათ, რომელთაც ჩამოერთმევათ ქონება და თანხები, შემოსავალსა და ფულს, რომელიც შესდგება იმის გამგეობაში მყოფ თანხის სარგებლიდან, მხოლოდ შემდეგის ხარჯების გამოკლებით:

5) უძრავ ქონებათა შემოსავლიდან ყოველ წელს, მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით უნდა გამოეკლოს: ა) არა უმეტეს 10%-ისა ამ უძრავ ქონების მართვა-გამგეობის ხარჯის დასაფარავად, აგრეთვე განსაკუთრებულ სათადარიგო თანხის შესადგენად არა ჩვეულებრივ ხარჯთათვის, ქონების გასაუმჯობესებლად, და ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით უნდა გამოეკლოს 5% სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის დამ-

ხმარებელ თანხის შესადგენად; ეს თანხა უნდა მოხმარდეს სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო დაწესებულებათა საჭიროებას და ამ ეკლესიის გამგეობის საზოგადო მოთხოვნილებას; ამ თანხას უნდა მიემატოს რაც ზემოხსენებულს (პუნკტი ა.) 10% ხარჯიდან დარჩება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რაიმე უთანხმოება მოხდა, ან ეჭვი გაჩნდა და ვერ გამოირკვა—სამღვდელლობის ესა თუ ის ქონება ან თანხა მთავრობას გადაეცეს თუ არა, საქმე გადასაწყვეტად შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა მიენდოს.

II. მიენდოს: 1) შინაგან საქმეთა მინისტრს: ა) შეიმუშაოს წესები იმისა, თუ როგორ უნდა იხარჯებოდეს სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის დამხმარებელ თანხიდან ფული; ეს წესები რომის კათოლიკეთა სამღვდელლოების დამხმარებელ თანხის შესახებ არსებულ წესების მიხედვით უნდა იქმნას შედგენილი; მინისტრმა თავისი მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ უნდა წარადგინოს წესისამებრ დასამტკიცებლად და ბ) დაადგინოს წესი იმისა, თუ როგორ უნდა შეადგინოს სასულიერო დაწესებულებამ ანგარიში იმ შემოსავლისა, რომელიც სახარჯოდ გადაეცემა და 2) მიწათ მოქმედებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა შეთანხმებით დაადგინონ: ა) წესები იმისა, თუ როგორ უნდა გადაეცეს ქონება და თანხები სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებისა სათანადო სამინისტროებს და ბ) წესი ამ ქონების მართვა-გამგეობისა

და III. უმაღლესად დამტკიცებულის 26 მარტს 1898 წელს მინისტრთა კომიტეტის აზრის ნაცვლად დაწესდეს:

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა, შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებს მიენდოს, ამ დებულების 1 მუხლის თანხმად, სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება სახელმწიფო მართველობაში რომ მიღებული იქმნება, ერთმანეთთან შეთანხმებით გამოარკვიონ ის ქონება, რომლის შემოსავლითაც საერო განათლების სამინისტროსაგან ჩაბარებული სკოლები უნდა ინახებოდეს, და მას შემდეგ: ა) აღნიშნონ ის ქონები, რომელიც უნდა დასტოვონ სასწავლებელთა საჭიროებისათვის, და ბ) დანარჩენ ქონების შემოსავლის დაგვარად გამოიანგარიშონ, რამდენი ფული უნდა გადაეცეს ყოველ წელს საერო განათლების უწყებას ზემოხსენებულ სასწავლებელთა შესანახად.

—

12 ივნისის 1903 წლის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის აზრისამებრ და მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთან შეთანხმებით ვამტკიცებ. ს.-პეტერბურგი, 30 ივნისს 1903 წელს.

შინაგან საქმეთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი (ხელს აწერს) პლევე.

**წესი**

**სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონებისა და თანხათა სათანადო სამინისტროთა გამგებლობაში გარდაცემისა.**

1) სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის იმ ქონების შესახები ცნობანი, რომელიც 12 ივნისს 1903 წლის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის აზრისამებრ უნდა ჩამოერთვას სასულიერო დაწესებულებათა გამგებლობას, უნდა აუწყოს: ევროპის რუსეთში—შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს და, იმის და მიხედვით, სადაც ეს ქონებანი იმყოფება,—იქაურ გუბერნატორებსა და ქალაქის უფროსთა, ხოლო კავკასიის ეპარქიებში—მთავარმართებლის მმართველობამ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ნდობა-მოსილს კავკასიაში და იქაურ გუბერნატორებსა და ოლქების უფროსთა. მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ და ამ სამინისტროს ნდობა—მოსილმა კავკასიაში უნდა აუწყონ მათ მიერ მიღებულნი ცნობანი თვისთა ხელ-ქვეით საგუბერნიო მმართველობათა.

2) მიღებისამებრ ადგილობრივ, უწყებათა სახით, ზემოხსენებულ ცნობათა, რომელნიც ამოკრებილ იქმნება ეჩმიაძინის სინოდის უკანასკნელ ანგარიშებიდან, გუბერნატორებმა და სახელმწიფო ქონებათა გამგებლებმა, ერთმანერთ-შორის მორიგებით, უნდა განკარგულება მოახდინონ და ერთსა და იმავე დროს გაჰგზავნონ თვისი ხელ-ქვეითნი თანამდებობის სარწმუნო კაცნი, რომ ერთად ჩაიბარონ სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო დაწესებულებათაგან საეკლესიო ქონება და თანხა. ზემოხსენებულ კაცთ უნდა მიეცეთ ჯეროვანი დარიგება, ფორმალური ბრძანება და ნიმუში ჩაბარების ოქმებისა და ნუსხისა.

3) თითოეულს ქალაქსა და მაზრაში ჩაბარება უძრავის ქონებისა და თანხისა უნდა დაწყებულ იქმნას უფრო იმ მამულიდან, რომელიც შესამჩნევის თვისის სიდიდით.

4) ზემო-ხსენებულნი მოხელენი, მივლენ თუ არა ადგილობრივ, იწვევენ მათდა მინდობილ საქმეში დასახმარებლად იქაურ პოლიციის წარმომადგენელს, იქაურსავე სომეხ-გრიგორიანთა კეთილ-მოწესე მღვდელს, თუ არის იქ, აგრეთვე იმ სასულიერო კაცს ან იმ სასულიერო დაწესებულების წარმომადგენელს, ვის გამგებლობაშიაც არის მისაღები ქონება; ამას გარდა, იწვევენ ქალაქ ადგილას —ქალაქის თვით-მართველობის წარმომადგენელს, ხოლო სოფლად—ორს კეთილ-სვინიდისიერს მცხოვრებელს, არა ამაზედ ნაკლებ, და მამასახლისს. ქონების ჩაბარების დროს უნდა დაესწროს ქტიტორი ანუ მნათე, რომლის პირდაპირს გამგებლობაშიაც არის მთლად საეკლესიო ქონება (მუხ. 1225 უცხ. აღსარ. სასულ. საქმეთა წესდებისა. გამოც. 1896 წ.).

5) შეუდგებიან თუ არა ჩასაბარებელ ქონების დათვალიერებას ისინი, ვისაც ეს საქმე აქვთ დავალებული, უპირველეს ყოვლისა მოითხოვენ, რომ ქტიტორმა, მონასტრის წინამძღვარმა ან ამა თუ იმ სასულიერო დაწესებულების უფროსმა წარუდგინოს საინვენტარო ნუსხა მთლად საეკლესიო თუ სამონასტრო, აგრეთვე სასემინარიო და სხვა ქონებისა უცხო აღსარების სასულიერო საქმეთა წესდების 1226 მუხლით დაწესებულ ზონარგაყრილი დავთრები, აგრეთვე გეგმანი, კონტრაქტები, ნამდვილი გუჯარ-სიგელნი მფლობელობისა, კალდებულობის ქაღალდები, შესანახად დაბინავებულ ფულის კვიტანციები, ანუ წიგნები შემნახველის კასებისა, აგრეთვე სხვა ოქმები, რომელიც-კი შეეხება ეკლესიის გამგებლობაში მყოფ მამულებსა, ვალდებულების წერილებსა და თანხებს.

შენიშვნა: რადგანაც სომეხ-გრიგორიანთა მონასტრების უმეტეს ნაწილს არა ჰყავს მონაზონთა ძმანი და კანონით დაწესებული (მუხ. 1235 უცხ. აღსარ. სასულიერო საქმეთა წესდებისა) სამონასტრო გამგეობანი, ამიტომ, ასეთ გარემოებაში, ქონების მისაღებად ადგილას წასვლამდე უნდა მოითხოვონ საბუთები და ნუსხანი საეპარქიო კონსისტორიებისაგან, სადაც ინახება, კანონისამებრ, ასეთი ცნობანი.

6) ასეთ ნუსხათა და საბუთების შემოწმების შემდეგ, რწმუნებულნი შეუდგებიან თვით ქონების მიღებასა. თან ასეთი წესი უნდა იქმნას დაცული:

ა) ქალაქის სახლები, დუქნები, ქარვასლები, წისქვილები, ღვინის სარდაფნი და სხვა სამეო შენობანი, გარდა კაცთა საცხოვრებელ სახლთა და შენობათა, აგრეთვე სამეო საწყობთა და ნაშენობათა, რომელიც უნდა დარჩეს სამღვდელოების ხელში მათის საჭიროებისათვის, უნდა მიღებულ იქმნას ყოველის თვისის ინვენტარითა და იმ მიწითურთ, რომელზედაც იგი შენობანი აგებული;

ბ) საგარაკო სადგომ-სამყოფელნი პატრიარქ-კათალიკოსისა და ეპარქიის უფროსთა, სადაც ამისთანა რამ დიდის ხნიდგანვე არსებობს, თვისის ბაღებით, ბოსტნებით და ჯალა-ტყეებით, რჩება ზემოხსენებულ სასულიერო კაცთა ხელში;

გ) იმ მამულებში, სადაც სახნავ-სათესი, ან ტყე, მამულთან ერთად უნდა მიღებულ იქმნას ყოველივე იარაღი წარმოებისა, ხოლო საქონელი, პური და სხვა დამზადებული სამეო ნუზლ-სანოვაგე რჩება იმ კაცთა და დაწესებულებათა ხელში, რომელთა გამგებლობას უნდა ჩამოერთვას ხსენებული მამული;

დ) თუ ეკლესიისა ანუ სასულიერო დაწესებულების მფლობელობაში მყოფი მამული კანონით დაწესებულ 3 დესეტინას მცირედ რამით აღემატება და ეს ნამეტანი დამოუკიდებელ მეურნეობისათვის არ გამოდგება, არ უნდა იქმნას მიღებულ განსაკუთრებულ განკარგულებამდე და უნდა იქმნას მოხსენებული განაზრებში და

ე) თანხათაგან უნდა მიღებულ იქმნას სრულიად სარგებლიანი ქაღალდები, გირავნობის ქაღალდები და ვალდებულობის წერილები, ხოლო ნაღდის საეკლესიო ფულიდან უნდა მიღებულ იქმნას სულ, ას თუმანს ზევით ათათ თუმნობით. დანარჩენი დატოვებულ უნდა იქმნას მიმდინარე საეკლესიო ხარჯისათვის. ეს გარემოებაც უნდა განმარტებულ იქმნას ქონების მიღების ოქმში.

7) როცა რწმუნებულნი დაწვრილებით დაათვალიერებენ ეკლესიათა და სასულიერო დაწესებულებათაგან მიღებულს ქონებას, ადგილობრივ შეადგენენ ორ ეგზემპლიარად დაწვრილებულს ოქმს, მიცემულ ნიმუშისამებრ და მოაწერინებენ ხელს მათ, ვინც დაესწრო ქონებათა მიღებას და დათვალიერებასა; შემდეგ აღწერილ უძრავ ქონებას თვისის კუთვნილებითა გადასცემენ სახელმწიფო ქონებათა მმართველობის მოხელე კაცს, რომელსაც დავალებული აქვს და დაუყოვნებლივ აუწყებენ გუბერნატორს და ადგილობრივ მმართველობას და თან წარუდგენენ შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთან გასაგზავნად ნუსხას ნამდვილად მიღებულ ქონებისას. საბუთები თანხის შენახვა-დაცვისა და თვით თანხანი, სადაც ეს თანხა აღმოჩნდება, უნდა გაეგზავნოს გუბერნატორებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხო აღსარების სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დეპოზიტში გადასაცემად.

8) თუ უძრავი მამული ამა თუ იმ ეკლესიისა ანუ სასულიერო დაწესებულებისა სხვა მაზრაში ან გუბერნიაშია, რწმუნებულთ უნდა მოითხოვონ იმ მამულის სიგელ-გუჯარნი და აღწერილობა და წარუდგინონ გუბერნატორს იმ გუბერნიის უფროსის გარდასაცემად, სადაც მამულია, რათა მან მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება მისის მიღებისათვის.

9) თუ მიღებული ქონება ანუ მისი ნაწილი იჯარით არის გაცემული ან სასარგებლოდ არის მიცემული ხელშეკრულობით ან ადგილობრივის ჩვეულობის ძალით, იჯარადართ, ან მამულის სასარგებლოდ ამღებთ უნდა ეუწყოთ, რომ ეს მამულები მიიღო ხაზინამ თვის გამგებლობაში და რომ ისინი მოვალენი არიან, რაც გადასახდელი აქვთ ფულად, შემდეგისათვის შეიტანონ ხოლმე სათანადო სახაზინოში იმ დეპოზიტზედ, რომელიც გარკვევით უნდა აუხსნათ, ხოლო თუ იგივე მოსავალია შესატანი, წარუდგინონ ხოლმე იმას, ვისაც დავალებული ექმნება მამულის გამგებლობა.

10) ყოველივე ხარჯი, რაც მოუნდება ხსენებულ ქონებათა გადაცემას მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის გამგებლობაში, უნდა გასტუმრებულ იქმნას იმ ფულიდან, რომელიც ადგილობრივ არის გადადებული აქეთ-იქით სამსახურის კაცთა გასაგზავნად და შემდეგ ეს დანახარჯი უნდა შეავსოს იმ ფულის 10%-დან, რომელიც უნდა გამოირიცხოს სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონების შემოსავლიდან; ხარჯი თანხათა გასაგზავნად შინაგან საქმეთა მინისტრის გამგებლობაში გასტუმრებულ უნდა იქმნას ამავე თანხიდგან.

უცხო აღსარების სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი (ხელს აწერს) მოსოლოვი.

—

## ტფილისი

❀❀❀ გუშინ, 17 ოკდომბერს, სიონის ტაძარში, წირვის შემდეგ, ყოვლად-სამღვდელლო ბენიამინმა, საქართველოს საექსარხოსოს განმგებელმა, სამადლობელი პარაკლისი გადიხადა მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძისა, მის იმპერატორებითის უდიდებულესობის იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულისა და სამეფო ოჯახის განსაცდელისაგან გადარჩენის გამო 17 ოკდომბერს 1888 წელს, რკინის გზის მატარებლის დამსხვრევის დროს, სადგურ ბორკასთან, სამხრეთ რუსეთში.

❀❀❀ ბიულეტენი კავკასიის მთავარმართებლის თ. დ. გ. ს. გოლიცინის ჯანმრთელლობის მდგომარეობისა:

მისმა ბრწყინვალებამ ღამე 15 ოკდომბერს მშვიდობიანად გაატარა. ტემპერატურა ჰქონდა 37,5. მთელ დღეს თვითმგრძნობელლობა და საერთო მდგომარეობა წესიერი იყო. სადამოს ტემპერატურამ აიწია 38,6 გრადუსამდე. ჭრილობა იმ ადგილს, სადაც ქუდი იყო ჩაჭრილი, ჩაშავებულ სიმსივნესთან ქავილს იწვევს.

❀❀❀ კავკასიის მთავარმართებლის დაჭრის შესახებ გაზეთ „კავკაზში" დაბეჭდილია:

სამშაბათს, 14 ოკდომბერს, ნაშუადღევის სამი საათი იქმნებოდა, თ-დი გრიგოლ სერგეის ძე და მისი მეუღლე მარიამ თეოდორეს ასული ორ ცხენიან ეტლით სასეირნოდ წავიდნენ ბოტანიკის ბაღისაკენ; ეტლის კოფოზედ ერთი ყაზახი ურიადნიკი იყო დიმიტრი სიპლივენკო. 4—საათზე მათი ბრწყინვალებანი უკან [illegible] და ბაღიდგან [illegible] გზაზე გამოვიდნენ. ამ გზის ქიმში, აღმართზედ, ეტლს სამი კაცი გაუსწორდა, შუათანა ტანისა, ღარიბ სამოქალაქო ტანთ-საცმელით. როდესაც მთავარ-მართებელი სალამზე სალამს აძლევდა, ბოროტ-გამზრახველნი ეტლზე ახტნენ და მეეტლეს დაუყვირეს შედექიო. ერთი მათგანი ახტა მარჯვნივ მხარეს, საითაც კნეინა იყო, საფეხურზედ მოიმაგრა ფეხი, იძრო ხანჯალი და სცდილობდა დაეკრა მთავარ-მართებლისათვის. ორი ბოროტ-გამზრახველი-კი მარცხნივ ახტნენ, ჩასჭიდეს ხელი მთავარ-მართებელს, უნდოდათ ეტლიდგან გადმოესვათ და სცდილობდნენ კნეინა მოეცილებინათ, რომელიც მთავარ-მართებელს ეფარებოდა მარჯვენა მხარეს. თავადმა, როგორც იყო, ჯოხით მოიცილა ბოროტ-მოქმედნი. ამ წამს მეეტლემ ცხენებს შეუტია და საჩქაროდ გააქანა, ასე რომ ბოროტ-გამზრახველებმა ვერ მოიყვანეს სისრულეში თვისი წადილი. ურიადნიკი სიპლივენკო, რადგან ეტლი სწრაფად მიჰქროდა, ჩამოხტომისას წაიქცა, მაგრამ მალე წამოხტა და შეებრძოლა ბოროტ-მოქმედებს, რომლებმაც რამდენჯერმე რევოლვერი ესროლეს. სიპლივენკოს ტყვია ფეხში მოხვედრია და მეორე მხარეს გაუვლია.

დასისხლიანებული, ხოლო სრულს გრძნობა-ჭკუით, თავადი გზა-გზა ყველას სალამს აძლევდა, ვინც-კი თავს უკრავდა, და, როდესაც სასახლესთან ჩამოხდა, ბრძანება გასცა, ყაზახები გაგზავნეთ სიპლივენკოს საშველადაო. შემდეგ ავიდა ზევით და თავის ოთახში უცდიდა ექიმს, რომელთანაც კაცი აფრინეს. მალე ექიმებიც მოვიდნენ, ჭრილობა გასინჯეს და შეუხვიეს. სულ ოთხი ჭრილობა აღმოაჩნდა: ერთი თავში, ქუდქვეშ ჩაჭრილი, ორი სახეში და ერთიც მაჯაზე. ეს უკანასკნელი ჭრილობა მცირეა, გაფხაჭნილსავით, ეტყობა იმ დროს დაუჭრიათ, როდესაც ხანჯლის ასაცილებლად თავადს ხელი შეუშვერია. სხვა ჭრილობა თუმცა უფრო ღრმად არის, მაგრამ, ექიმების აზრით, სიცოცხლისათვის საშიში არ არის. თავში დარტყმულ ხანჯალს ძვალი არ ჩაუჭრია... თუმცა მეორე დღეს სიცხემ უმატა, მაგრამ როდესაც ჭრილობას ხელმეორედ უხვევდნენ, გამწვავებისა არა ეტყობოდა-რა.

კნეინა მარიამ თეოდორეს ასულს მაჯაზედ კაბა გაჭრილი აღმოაჩნდა. თუმცა დიდი შიში და მღელვარება გამოიარა, მაგრამ კნეინამ სიმხნე და სიმტკიცე შეირჩინა და ყველას მშვიდად უამბობდა ბოროტ-მოქმედთა დაცემის ამბავს.

ერთს მოკლულ ბოროტ-მოქმედთაგანს ჯიბეში ბაშფორთი ჰქონდა. იმათ იარაღიდგან იპოვეს ორი ხანჯალი და სამი რევოლვერი.

სამთავე ბოროტ-მოქმედნი მდაბიო ხალხთაგანნი არიან, ეროვნებით სომხები.

❀❀❀ საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად დაინიშნენ: ქუთაისის ოლქის სასამართლოსი—ქუთაისის გუბ. თავად-აზნ. წინამძღოლი თავ. ლორთქიფანიძე, ტფილისის ოლქის სასამართლოსი: მთავარ-

---

# ფელეტონი

## ექიმთან

—

სიკოია ნემსაძე თავის ცოლშვილში სადილობდა, რომ უცებ დამბლა დაეცა და მარჯვენა მხარი ჩამოუგდო. დამბლა ძლიერი არ იყო, მაგრამ ცოლშვილის მარჩენალი მარჯვენა, როგორც თითონ ამბობდა, სამარადისოდ დაუზიანდა.

ბევრი სოფლის დედაკაცები შეეცადნენ სიკოიას ხელის მორჩენას, მაგრამ ამაოდ, შრომამ უნაყოფოდ ჩაიარა. ბოლოს სიკომ ექიმთან გადასწყვიტა წასვლა.

— ნეტაი აქნამდის წავსულიყავი,—ამბობდა სიკოია—მარა ერთი რომ მეშინია, ვაი თუ მითხრან: მეიჭერი, მეტი არაფერი გაეწყობა!.. იგინმა ასე იცის, მორჩენაზე უფრო მოჭრა ეადვილებათ!.. მეორე, ფულიც აღარ მაქ მე, უბედურს... უხელო-კი არა, ხელიანი ძლივს ვაპურებდი ოჯახს... უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, რომ იტყვიან, სტორეთ ჩემზეა ნათქვამი...—სთქვა და თვალებზე მომდგარი ცრემლები ჩუმად მოიწმინდა.

მერმე შევიდა სახლში, კედელზე მიკიდულ ახალუხის ჯიბიდან ქისა ამოიღო, რომელშიაც უკანასკნელი მანეთ ნახევარი იყო, ჯიბეში ჩაიდო და მახლობელ ქალაქში ექიმთან გასწია.

— სინამდი ხელიანი ვიყავი, ყოველთვის მანეთს ვაძლევდი დოხტურს, ახლაც რომ მანეთი მივცე, წამლიზა აღარ მრჩება ფული, არა და ათ შაურს იუკადრისებს, ვიცი... მარა, რაც უნდა იგი ქნას, ხომ ხედავს კაცი განახევრებული ვარ!.. მომირჩინოს და თუმანსაც-კი მივცემ— ამბობდა სიკოია თავის გულში, ექიმთან მიმავალი.

ექიმი სახლში დაუხვდა. ის იყო ვიღაც ქალი გაესინჯა და რეცეპტს უწერდა. სიკომ ცხადათ დაინახა, რომ ქალმა ექიმს სამ მანეთიანი ქაღალდის ფული დაუდვა მაგიდაზედ. ექიმმა ცალის თვალით გადახედა ფულს, მაგრამ, თითქოს არც-კი დაუნახავსო, ქალი კარებამდის მიაცილა, ზრდილობიანად ხელი ჩამოართვა და გაისტუმრა. სიკომ-კი მდაბლად თავი დაუკრა ექიმს და კაბინეთში შეჰყვა.

— რა ამბავია?—ეკითხება ექიმი სიკოს.

— თქვენი მშვიდობა, ბატონო, ავად გახლავარ და, თუ შეიძლება...

— რა გტკივა?

— დავლა დამეცა, ბატონო, და მარჯვენა ხელი გამიფუჭა. სულ ვეღარ ვხმარობ...

— გაიხადე.

სიკომ გაიხადა; ექიმმა ხელის თითებით გულზე ორ-სამ ალაგას დაუკაკუნა, მერმე სულის თქმას დაუგდო ყური, ოდნავ მტკივან ხელსაც შეეხო, ახედ-დახედა და ჩაიცვიო უბრძანა, თითონ-კი რეცეპტის წერას შეუდგა.

— ორნაირი წამალი გექნება, ერთი დასალევი და მეორე წასასმელი. საშიშო არაფერია. ხელი მუდამ დაკიდული იქონიე, არაფერზე იხმარო; საჭმელად გენიშნება რძე, კვერცხი, ხორცი და პური. ღვინო არ დალიო, მჟავე არ ჩაგცდეს პირში, წამალი რომ გამოგელიოს, კიდევ მოდი. ჩემს დარიგებას თუ შეასრულებ, მალე მორჩები—უთხრა და ორად მოკეცილი პატარა ნაფლეთ ქაღალდზე დაწერილი რეცეპტი მიაწოდა.

სიკომ რეცეპტი მადლობის გადახდით ჩამოართვა და მოკრძალებით მაგიდაზე ათ შაურიანი დაუდვა, მაგრამ მოჰკრა რა ექიმმა ცალი თვალი ათ შაურიანს (თავის პაციენტებს ფულის მიცემის დროს ყოველთვის ცალის თვალით გადაჰხედავდა) საშინელი შეურაცხყოფა იგრძნო და გულიც მოუვიდა.

— ეს რა არის?

— უკაცრავად, ბატონო, დიდ ბოდიშს ვითხოვ, მარა...

— რა მარა!.. იქით წაიღე!.. შენი ბავშვი ხომ არა ვარ?!. რა არის ათ შაურიანი?!. არსენ ფერშალი ხომ არ გგონივარ?!. ისიც აღარ ღებულობს ეხლა ათ შაურიანს!..

— მომიტევე, ბატონო, ხომ იცი, რომ მქონდეს...

— გაქვს, ვიცი რომ გაქვს, მარა ეს ერთი ხანია გლეხები მეტის-მეტად თავაღებული ხართ!.. აღარავის კაცად აღარ აგდებთ... ვისაც ხედავთ ქვეყანაზე, ყველა თქვენი ტოლი გგონიათ!.. ვიცი, რა მიზეზია, ათი შაურის მეტს რომ არ იძლევი!.. სოციალისტობთ რაღა!.. დაგიჩემებიათ რაღაც აბდლური: „ჯილდო შრომის დაგვარათ უნდა ეძლეოდეს ყველა ადამიანსაო"! ის კი არ იცით, თუ მე რამდენი მიშრომია და ოფლი დამიღვრია ჩემს სწავლაზე!.. ჭკუით იყავით, უმჯობესია!.. მაგფერები თქვენ არ გამოგადგებათ!.. მერზავცი—ტაკიე, უჯერებენ ვიღაც სულელებს!.. გარყვნეს ხალხი მაგ ასეთ-ისეთებმაო,—ამბობდა ექიმი და გაცხარებული წინ და უკან დადიოდა.

— უსინდისოები, უნამუსოები! პატიოსნად თუ მოეპყრა კაცი, თლა წააჯდებიან თავზე!.. მე რომ მაგათი ამბავი ვიცი, ერთ ხანს მერმე სულ არაფერს არ მომცემენ... ღმერთმა შეაჩვენოს მაგათი თავი!.. აგერ ქალმა სამ მანეთიანი დატოვა; გუშლამ კიდევ პატიოსანმა ვაჭარმა ფაიტონით მიმიწვია, ათ მანეთიანი ოქრო ჩამიდვა ჯიბეში და თან ბოდიში მოითხოვა, ცოტააო. ესენი, ეს უზრდელები ათ შაურიანს ისე იძლევიან, რომ არც კი რცხვენიათ!.. ოჰ!. ღმერთო, შეაჩვენე მაგათი თავი და ტანი!— ბრაზ-მორეული იწყევლებოდა ექიმი.

სიკოია კი ჩაფიქრებული აფთიაქში მიდიოდა წამლების გამოსატანად.

— რა გაუმაძღრებია ეს ოხრები,— ფიქრობდა:—ნეტაი მაგენის გულს მიწის მეტი თუ რამე გააძღებს?!. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, დღეში ერთი-მეორეზე ათ მანეთს კი ეღებს, მე ათ კაპიკს ვეღარ ვშონილობ და კიდევ მე მიმჯავრდება! როგორ ბედავ, ერთი ნაწყვეტი ქაღალდის დაწერაში ათ შაურს მაძლეო... შენ რომ მიგიხმარიოს და დილიდან სალამომდის ქვა გაზიდვიოს, ათ შაურსაც არ მოგცემს. ამას ქვია სტავლა?! ამიზა ზარდა მაგი მამისმა, მოდი და ჩემს მეზობლებს ტყავი გააძროს? ნეტა მაინც

მართებლის საბჭოს წევრნი პრიბილი, მიცკევიჩი და სულთან-კრიმ-გირეი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი, საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე გაკელი და სიღნაღის მაზრის თავ.-აზნ. წინამძღოლი თავ. ვაჩნაძე.

ოთხშაბათს, 15 ოკდომბერს, კრება ჰქონდა ტფ. საბჭოს საფინანსო კომისიას. გამგეობამ წარუდგინა კომისიას ქალაქის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, რომლითაც შემოსავალი აღრიცხულია 1 მილ. 200 ათას მანეთზე მეტი, გასავალი-კი 1 მილ. 500 ათას მანეთზე მეტი, ასე რომ დეფიციტი 300 ათას მანეთს უდრის.

ახლად გარდაცვალებულ შამხოროვს დარჩენია 220,000 მანეთის ქონება და ფული. ანდერძით ამ ქონებითა და ფულით სიკვდილამდე უნდა ისარგებლოს ცოლმა, შემდეგ ტფილისის თვით-მმართველობას გადაეცემა. მთელის შეძლების 6%-ით უნდა დაარსდეს სტიპენდიები, აქედან 2/3 სომეხთათვის და 1/3 სხვა ერის შვილებისათვის. ქონების 20% უნდა მოხმარდეს სულით ავადმყოფთა თავშესაფარისთვის შენობის აგებას, 10% ტფ. საკომერციო სასწავლებელს და 10% მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენს ავჭალაში.

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო წერა-კითხვის საზოგადოებას, დააარსოს ს. კულაშში ფასიანი სახალხო ბიბლიოთეკა.

## † დ. მაჩხანელი (ნადირაძე)

(ნეკროლოგი)

კიდევ ერთი მუშაკი მოაკლდა ჩვენს ღარიბს მწერლობას—გარდაიცვალა მოულოდნელად თავის მშობელს სოფელში ჯერ ისევ ახალგაზდა, ჯან-ღონით სავსე თანამშრომელი ჩვენის გაზეთისა დიმიტრი ნადირაძე (მაჩხანელი).

განსვენებულ დიმიტრის დიდი სწავლა არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ თვისის მეცადინეობით და მხნეობით იმდენს ეცადა, რომ დაბადებითვე თან-დაყოლილი ნიჭი არ ჩაჰფლა მიწაში მზაკვარ და მცონარ მონასავით, არამედ მოუარა, განავითარა და გაიკაფა გზა სალიტერატურო მუშაობისათვის.

პირველი მისი სამწერლო დებიუტი იყო „ძმური სიტყვა“, რომელიც დაიბეჭდა ფელეტონებად ჩვენს გაზეთში 1886 წელს, როცა „ივერია“ უოველ დღიურ გაზეთად იქმნა გადაქცეული. ამ თხზულებამ ახალგაზდა ავტორისამ უცბად მიიქცია ყურადღება მკითხველის საზოგადოებისა. კარგი, თითქმის სამაგალითო პროზა, მოკლებული რუსიციზმებს, ხალხური კილო და მდაბიური ქართული, საუცხოვო სურათები და სცენები სოფლის ცხოვრებისა, იუმორით შეზავებული, სიწრფოება, რომლითაც გამსჭვალული იყო ნაწარმოები თავიდან ბოლომდე—არ შეიძლებოდა არ მოსწონებოდა მკითხველს.

მას შემდეგ დღემდე, ამ 17 წლის განმავლობაში, დიმიტრი მაჩხანელს ღდარ გაუგდია კალამი ხელიდგან და თანამშრომლობდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში, უფრო-კი „ივერიაში“. სწერდა სცენებს, ლექსებს, კორესპონდენციებს, პატარ-პატარა ამბავსა და მოთხრობას და დაუღალავად ებრძოდა უოველ-გვარ ბოროტებას, ყოველ-გვარ უკუღმართობას, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვი სოფლის ცხოვრებაში.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ აქ სხვათა შორის ერთი საუცხოვო მისი მოთხრობა „მკითხავმა მოარჩულა“, დაბეჭდილი წელს „ივერიაში“, №№ 23 და 24.

დღევანდელს ნომერში იბეჭდება ორი მისი წერილი. ერთი მათგანი დაწერილია სწორედ ხუთის დღის წინად, ვიდრე მოევლინებოდა საზარელი წინამორბედი სიკვდილისა. მოგვიყვს აქ მისი კერძო წერილები რედაქციის სახელობაზე 4 და 10 ოქტომბრის თარიღით: ...«გთხოვთ ამ სახელ-შეცვლილ, ნამდვილ ამბავს—„დედა-დაკარგული ზაქები“—მცირე ადგილი დაუთმოთ. გთხოვთ აგრედვე დამიბეჭდოთ კარგა ხნის გამოგზავნილი წერილი „სამშობლოს წარმატების ფონდი“ *) (ჩვენის ქვეყნის მოკეთეთა საყურადღებოდ). გიგზავნით პაწია კორესპონდენციასაც. **)

მეორე წერილი:

...გთხოვთ ამ წერილს—„ჩვენის სამღვდელოების საჭიროება“ მცირე ადგილი დაუთმოთ «ივერიაში». აქ სამი ლექსიც: „გოდება“ „პოეტის ღიღინი“ და „სამი მგზავრი„ გადსცეთ „შურდულის“ რედაქციას“...

ქვემო-მაჩხაანი, 10 ოკდომბერი 1903 წ.

როგორც ჰხედავთ, ულმობელმა სიკვდილმა უსწრო განსვენებულს დიმიტრის მაშინ, როდესაც იგი გამუდმებულს სალიტერატურო მუშაობაში იყო, უსწრო და დაუნდობლად გადუტეხა ზედ შუაზედ კალამი.

აქ ადგილი არ არის განსვენებულის ნაწერების სრულის დაფასებისა და განხილვისათვის; ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენს რიცხვმცირე მწერალთა გუნდს გამოაკლდა ამ სიკვდილის წყალობით ერთი დაუღალავი მუშაკი, გულ-წრფელი მოყვარული მწერლობისა და თავის მშობლის ერისა.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო, მშვიდობიანო და უწყინარო ძმათ დიმიტრი!

გრ. ყიფშიძე.

## ჩვენის სამღვდელოების საჭიროება

(ხალხის მოკეთეთა საყურადღებოდ).

დღეს მთელი რუსეთის იმპერიის საუკეთესო ინტელიგენცია ქვეყნის მეურნეობა-მრეწველობის განკარგებაზედ და ხალხის ჭკვა-გონების გამდიდრებაზე ჰზრუნავს და ჩვენს სამღვდელოებას-კი სალათის ძილით სძინავს მაშინ, როდესაც ყოველი მწყემსი კეთილი მოვალეა თითონ გადუშალოს ხელის გულივით ქვეყნის გულშემატკივართ თავის სამწყსოს ათასნაირი საჭიროებანი და მათი საშველი საშუალებანი.

მართლაც და, ვინ უნდა იცოდეს ისე ზედმიწევნით ხალხის ზნე-ყოფაცხოვრება და მისი სულიერი და ნივთიერი საჭიროებანი, თუ არა ხალხის სულიერმა მამამ, რომელიც ნათლობიდამ კუბოს კარამდე მრევლის ცხოვრების მეგულისპასუხე და მესაიდუმლეა ჭირშიაც და ლხინშიაც, მაგრამ... მაგარიც ეს გახლავთ, რომ დღეს ჩვენი სამღვდელოება სამარცხვინოდ დაბეჩავდა, მარტოოდენ ჯიბეკუჭის მადმერთებელი ქვეყანას აღარ არგია, მრევლს მღვდლისა აღარაფერი გაეგება და მღვდელს მრევლის ჭირი და ლხინი აღარ ეჭიდება გულზე.

ერთის სიტყვით, ჩატყდა ხიდი ერთობისა მრევლსა და მღვდელს შორის და დაეცა სარწმუნოებაც, რომელმაც იხსნა ჩვენი ქვეყანა მრავალ საუკუნოების განმავლობაში ათასგვარ განსაცდელისაგან და კიდევაც სარწმუნოებისაგან უნდა მოველოდეთ ხსნას, ვიდრე ჩვენი ერი ცივილიზაციის უმაღლეს მწვერვალამდის ავა მადლიანის სწავლა-ცოდნით. დიახ, ან საკმაო განათლება უნდა ჰქონდეს ხალხს ან ღვთის შიში და სარწმუნოება, თორემ ადვილად გაანადგურებს მწარე ცხოვრების უთვალავი ჭირ-ვარამი.

ყოველ მხრივ განვითარებულ მოძღვარს, რომელიც-კი წლის-წლობამდის სოფლის ხალხში ტრიალებს მოუსვენარ ბზიას დაუცხრომელ ჯარასავით, ძალიან ადვილათ შეუძლიან ჩაუნერგოს გულგონებაში მდაბიო ხალხს ათასი რამ საკეთილო აზრი, ცხოვრებაში საჭიროდ გამოსადეგი სწავლა-ცოდნა და გამოსაფხიზლებელი თვით-ცნობიერება, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც ვიცით, მღვდელსა და მრევლს შორის კარგა ხანია ჩანგრეულია ხიდი სულიერ ერთობისა და მღვდლის ქადაგება-მასლაათს აღარავითარი გავლენა აღარა აქვს ხალხში. მღვდელმა რომ უთხრას მრევლს: ალიზანი თავ-დალმა მიდიხო, იმასაც აღარ უჯერებენ. დახეთ ჩვენს ბედშაობას: რა ყოფა-მდგომარეობაში ვართ და სწორედ ამისთანა ბედ-უკუღმართ დროს მწყემსს არ ძალუძს გზა-დაბნეული ცხვარი თვისი საკეთილო გზაზე დააყენოს და მითი დაიფაროს იგი ათასგვარ განსაცდელისაგან...

რამ დაჰბადა მრევლსა და მღვდელს შორის ასეთი სამწუხარო უთანხმოება?—მართალია, ბევრმა სხვა-და-სხვა მიზეზებმა (რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა), მაგრამ უფრო-კი „კოდის პურმა“. აუღია, ბატონო, გაჭირვებულ მღვდელს საწყაო ნიტრა, გაუგდია წინ ტომარებ-აკიდებული სახედარი და ატოცის გლახასავით დადის სოფელში კარდაკარ კოდის პურისათვის, რომელსაც ოცში ერთიც არ აძლევს და ათასნაირ შეურაცხყოფასაც აყენებენ მღვდელს. რა ჰქნას მღვდელმაც? ისიც ოჯახის პატრონი კაცია და იმასაც ცხოვრება უნდა. ხშირად ისეთი დავი-დარაბა ასტდება ხოლმე მღვდელსა და მრევლს შორის კოდის პურის გამოისობით, რომ უყურო,ნუ გაიგონებ ყურო და, თვალო ნუ დაინახავო,—ამას-და იტყვით იმ საშინელ შფოთისა და აყალ-მაყალის მომხილებელი. აი უმთავრესი მიზეზი სარწმუნოების დაცემისა, მღვდლების ხალხში გავლენის დაკარგვისა და განვითარებულ კაცის სოფელში მღვდლად წასვლის უარ-ყოფისა.

საკვირველია, ღმერთმანი! დღეს რადგანაც ცხოვრება გაჭირდა და გაძნელდა, ამისათვის გოგოლის „დერჟიმორდების“ ცხოვრების გაუმჯობესობასაც-კი გულმოდგინედ სცდილობენ და ქვეყნის დედა-ბურჯ ხალხის მწყემსების გაჭირვებასკი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, რომ მღვდელსა და მრევლს შორის დამყარდეს ერთობა, მშვიდობა და სათნოება ქვეყნის წარმატებისათვის! მაგრამ იქნება ესაც ერთნაირ პოლიტიკანობის ბრალი იყოს?..

რომ ათასგვარ სიკეთე-მადლს აღარ იყოს ხალხი მოკლებული, კოდის პურის გამო მღვდლის მოძულებით, დიდი ხანია დაადგინა სასულიერო კაცთაგან შემდგარმა კომისიამ: კოდის პური შეიცვალოს ფულზედ, რომელსაც ადგილობრივი ადმინისტრაცია უნდა ჰკრეფდესო. ხსენებული დადგენილება კომისიისა უწმინდეს სინოდისათვის უნდა წარედგინათ დასამტკიცებლად, მაგრამ დღესაც არაფერი ისმის. რომელთაც-კი ჩვენის ხალხის წარმატება ენატრებათ და შეუძლიანთ რამ, დიდად საჭიროა ენერგიულად ეცადნენ, რომ, რაც შეიძლება ადრე და მალე, შეიცვალოს კოდის პური ფულზე, თორემ არ მოისპობა სხვა არას გზით მრევლსა და მღვდელს შორის სულიან-ხორციანად დამღუპავი მძულვარება და განხეთქილება.

ღმერთო მაღალო, დაუსაბამო! რამოდენი რამ საერთო წმინდა საქმეა გაუკუღმართებული ჩვენში, რომლისათვისაც ყველაზე უწინარეს ჩვენმა სამღვდელოებამ უნდა აღიმაღლოს ხმა ჭეშმარიტების წინაშე და „სული თვისი დასდოს ცხოვართათვის“ ქვეყნის სასიკეთოდ, მაგრამ სად არი? სამღვდელოებას მრევლისაგან გასტეხია გული და მრევლს—სამღვდელოებისაგან.

ყოვლად-შემძლე გამჩენმა ინებოს, რომ ჩვენს სამღვდელოებას სათნოიანი სულგრძელობით დაეთმინოს მაცხოვრის ბრძანებისამებრ, ყოველივე გაჭირვება და შეურაცხყოფა სამშობლოს წარმატების გულისათვის და თავისი დიდი და წმინდა მოვალეობა პირნათლივ აღესრულებინოს მრევლში კეთილ მეტყველებით და ხალხის სულისა და გონების ამმაღლებელ საქმეთა დაბადება-აღორძინებით.

მთიდიელი (დიმ. ნადირაძე).

*) ვეცდებით ამ წერილს მალე დავუთმოთ ადგილი.

**) დაიბეჭდა 8 ოკდომბერს, № 214 პსევდონიმით „მოამბე“.

## ჩვენებური ამბები

**გორი.** დიდ ბედნიერებაში ჩავარდა გორი „ინტელიგენტურ“ უფასო სამკითხველოთი; რას არ გაიგებს აქ კაცი? მთელი, ქვეყნის ამბები აქ ტრიალებს. სამკითხველო კარგს ადგილას არის გამართული, ოთახის კედლები რუსის პოეტების სურათებით არის შემკული, მხოლოდ ქართველთა მწერალთა სურათების ჰქანჩებაც არ არის. ბევრი ჟურნალ-გაზეთია გამოწერილი, ისე რომ რვა ადგილიანი მაგიდა სულ მოფენილია ჟურნალ-გაზეთებით. რუსეთის გაზეთებს გარდა, ტფილისის ყველა გამოცემანი—ქართული, თუ რუსული, მოსდით. მხოლოდ შეწუხებულნი ვართ სამკითხველოს სივიწროვით.

გორის მაზრაში ძალიან რიგიანი მოსავალია, ვანსაკუთრებით ხილეულობისა, მთელი მარნები და საკუჭნაოები მსხლით და ვაშლით არის გამოტენილი.

ი. მხა—ლი.

**ოზურგეთი.** დღეს ოზურგეთი დიდს მხიარულებაშია. ოზურგეთიდამ 6 ვერსზე ს. უჩხუბში აღმოჩნდა შავი ქვის მადანი, სოფელ გომში—სპილენძისა. მადნების სანახავად და დასამუშავებლად მოდიან ინჟენერები და კაპიტალისტები. ხუთ-ექვს ადგილას კიდევაც დაიწყეს მუშაობა. ინჟენერები ამბობენ: „ამ სოფლებში კარგი და მრავალგვარი მადნეულობა ყოფილაო“.

თუ ჩვენს ქალაქში ისეთი კაცი მოვიდა ეტლით, რომელსაც თავზე „აკუზული“ ფრანგული ქუდი ჰხურავს, ვაჭრები გაფაციცებით და ცნობის-მოყვარეობით ელაქერიან და ერთმანეთს ეკითხებიან: „ვიღაც დიდი კაპიტალისტი ან ინჟენერი იქნება მადნების დასათვალიერებლად მოსულიო; იცი კაცო, მოგვხედა ღმერთმა და ჩვენს დაცემულ ოზურგეთსაც ამოუჩინა სამუდამო სარჩო; აწი, მაინც გაჩაღდება ოზურგეთში ვაჭრობა-მრეწველობა. მუშაობას დაადგებიან. ფულის დასარიგებელი კანტორა ოზურგეთში იქნება და საზღვარ-გარეთის ფული ყველა აქ დარიგდება და დაიხარჯებაო“.

თავ. ნიკო თაიდგირიძემ, რომელსაც ოზურგეთის რკინის გზის კონცესია აქვს აღებული, მოიყვანა დასათვალიერებლად ინგლისის ამხანაგობის წევრი. ინჟენერი, რომელიც თხოულობს პირობას, თუ ოზურგეთის რკინის გზამ 700 ათას მანეთის 4% ი ვერ გაასწორა, მაშინ ხელისმომწერლებმა უნდა აგონ პასუხიო. ეს პირობა ინჟენერმა უნდა წარადგინოს თავიანთ კრებაზე საბუთად.

როცა ინჟენერმა ოზურგეთის ადგილმდებარეობა დაათვალიერა, სთქვა: „ეჭვს გარეშეა, რომ აქ რკინის გზა 10%-საც შემოიტანსო. ამ საქმის საწარმოებლად ამხანაგობა იძლევა 700 ათას მანეთს.

სადგურ ნატანებიდან ოზურგეთამდე რკინის გზის გატანა, ინჟენერების გამოანგარიშებით, ოთხასი ათასი მანეთი დაჯდება.

მაგრამ რა? ამ კეთილ საქმესაც დამცარავნი აღმოუჩნდნენ. ჯერ ავერ ხუთიექვსი „დანოსია“ ოზურგეთიდან წასული: „ოზურგეთში რა საჭიროა რკინის გზაო“. ზოგიერთ გულშემატკივარს სურს, რომ ოზურგეთი პროგრესის გზაზე დააყენოს, მაგრამ რეგრესის მომხრენიც არა ნაკლებ არიან. წინ წაწევისა რა მოგახსენოთ, მაგრამ უკან დაწევისა-კი მონატურნი ვართ.

ე.

## რუსეთი

9 ოკდომბერს ფინლიანდიის სენატში პირველად დაიწყეს მოხსენება საქმეთა რუსულად.

— ტყუილი აღმოჩნდა ის ხმა, რომ ვითომ ოდესმე გეტმან დოროშენკოს ინგლისის ერთ-ერთ ბანკში დაედოს რამდენიმე მილიონი ფული და ვითომ მხოლოდ ახლა აღმოჩენილიყოს მისი მემკვიდრე. «მთავრობის მოამბე» ამბობს, ლონდონის კონსულმა მოჰკრიფა ცნობა ინგლისის ბანკებში და აღმოჩნდა, რომ არავითარი ფული დოროშენკოს სახელზედ არ ინახება ინგლისის ბანკებშიო.

— მოსავალი რუსეთში კარგი და ძალიან კარგი ყოფილა უფრო სამხრეთდასავლეთისა, ნოვოროსიისა და მალოროსიის გუბერნიებში; შუათანა და გლახა მოსავალი ყოფილა შუა ვოლგისა, ქვემო-ვოლგისა და სამრეწველო გუბერნიებში.

— ტულის სამაზრო საერობო კრებამ დიდი ყურადღება თურმე მიაქცია იმ მოხსენებათ, რომელიც შეეხებოდა მკურნალობისა და საერო განათლების საქმეს.

— რიაზანის გუბერნიაში დანკოვის სამაზრო საერობო კრებამ გადასწყვიტა მოუსპოთ შემწეობა სამრევლო სკოლებს, რადგან საეპარქიო მთავრობათავისი ღონისძიებაც საკმაოდ აქვსო.

---

მონათხოვნი ფულიი არ იყოს გაზდილი! ამიზა უნდა გავზარდო შვილი?! დღეცეს ბარემ იჯ,ი კლასი, სადაც მასთანვე გაუმაძღარი ნასტავლები გამოდიანო,—ამბოპლა სიკოია და გრძელ კამზე ჩამომჯდარი წამლების დამზადებას უცდიდა.

ს. რემონიძე.

## დედა-დაკარგული ზაქები.

(სცენა)

— გამარჯობა შენი, ამირან!

— ეგეთი გამარჯობა ჩემ მტერსაც ნუ მიარგინოს ღმერთმა, ფრიდონი!

— რა მოგივიდა, კაცო, რა თავ-პირი ჩამოგტირის ყარაჩების ათრახიჩასავით?

— ის მამივიდა, რო უდელი ფურ-კამეჩი-და გვებადა, ისინიც დაგვპარეს, ცეცხლზე წყალი დაგვისხეს და დაგვანელეს.

— ბიჭოს! როდის, კაცო?

— ერთი თვეც არი.

— კვალი ვერსაით მიაგნეთ?

— კვალი როგო ვერ მივაგნეთ, მაგრამ არ იცი, კაცო, ეხლანდელი უსამართლო მოსამართლე და სამართალი: მტყუანიდამაც ქრთამს იღებენ, მართლიდამაც და სწორე სამართალს-კი არც ერთს არ აძლევენ.

— ეგ ხო რა... ეგ ეგრეა.

— ეგრეა და აკი ამან ამოგვაგდო კიდეც ბოლოკივით ძირიან-ფესვიანათ ეს ამოდენა ქვეყანა. ვააახმეეე!.. სხვა არა მინდა-რა, ერთი თავისი თვალით აჩვენა ყველაფერი ი დალოცვილ მთავრობას, რო...

— გუმანი ვიზე გაქვთ?

— ქორისაანთ ყაჩაღანაზე.

— მართლა?

— მართლა, კაცო, მარა! თითონ ყაჩაღანამ მითხრა უჩუმრა, უდუმრა: მოდი ხუთი თუმანი მამე და, რა გინდა, შენ კამეჩებს ეზოში მოგილალავ ერთ ღამეს. ერთხელათ ღავაპირე კიდეც მიცემა, მაგრამ კინალამ არ შამჭამეს აქეთ-იქიდამ: „შენი კამეჩების ქურდი ეგ არი და ხუთი თუმანი რაღაში უნდა მიჰცეო. ამოუდეი პრიჩტავსა და მამასახლისს ცოტაოდენი ქრთამი, ჩააბძანებენ ყაჩაღანას ვირის აბანოში და მათრახის ცემა-ტყეპით გამაჰტეხამენო“. მეც გამიწყრა ღმერთი, დაუჯერე ქვეყნის ტრაკატრუკს და დავკარგე ორი თუმანი. თურმე ნუ იტყვი, ყაჩაღანას სამი თუმანი ამოუდვია ჩვენი სამგლე პრიჩტავისა და მამასახლისისათვინ. გამოუშვეს გომიდამ და იგრე არხეინად დაბრძანდება ეხლა ი სათოკე და სათოფე ყაჩაღანა, იტყვი კაცი, ამას რწყილიც არ აჰფრენია თავზეო.

— ვაი დაჰწყევლა ღმერთმა, ე რატო მაგეთი ქვეყანა და სამართალი შაიქნა, კაცებო, თქვენ გამარჯობას!.. და რატო არ ეუბნები, კაცო, რისათვინ გამოუშვით გომიდამ, ი ჩემი ორი თუმნისაგან მაინც რატო არა გცხვენიანთო?!

— რას ამოფ, კაცო, რატო მაგრე ხამურათა ჰლაპარაკოფ, როგო არ ვეუბნები ი მგლის მუცელში გასაძვრენებს, მაგრამ პანღურითა მხეთქამენ: მაშ, როდემდინ უნდა გვჯდომოდა გომში, აკი შენ თვალწინაცა ვცემეთ, მაგრამ არ გამოტყდა, შენ კიდე მოწმები არა გყავს, რო ზაკონის კანონით დაუმტკიცო ქურდობა და ჩვენი რა ბრალიაო.

— აი მგელმა გახეთქოს ისინიცა და იმათი ზაკონის კანუნებიც!

— ეხლა ბევრს ვეხვეწები და ვემუდარები ყაჩაღანას ღაფარულათ: ნუ გვავსებ ჩვილი ზაქების ცოდვით, წადი, მამირეკე ჩემი ზაქიების დედა კამეჩები და მოგცემ ხუთ თუმანს-მეთქი, მაგრამ აპაა! შააგდო ქვაზე შეუშვირა თავი. კამეჩებს ვინღა ჩივის, მემუქრება კიდეც გაჯავრებული: რისათვინ დააჭერინე და აცემინე ჩემი თავი, ან რათ დამახარჯვინე იმოდენა ფული, დამაცა, დამაცა, ამოვიყრი შენ ჯავრს, თუ საბძელ-კალოც არ დაგიწვა და ი ჯაგლაგი ცხენიც არ მოგპარო, წ..ნკალა ძაღლი დამიძახეო.

— ეხლანდელ ქურდებს ყველაფერი გამოუვათ ხელიდამ, ან-კი ვისი ეშინიანთ, ყურთბალიშივით ამოუდებენ სამგლე მოხელეებს ჭრელ-ჭრელ მანეთებს და ცხრაკლიტულიდამაც გამოძვრებიან ფეიქრის მაქოსავით. დიდება შენთვინ, უფალო! ე რატო მაგეთი ქვეყანა და სამართალი შაიქნა, ქრიჰტიანებო!.. ეხლანდელი სოფლის მოხელეები მჭადაზნაურას გაგეშილ მეძებარივით დაეძებენ შფოთსა და ქურდობას, რო ბრალიანიდამაც და უბრალოდამაც ჯიბეები გაიტენონ; სხვა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ; გინდა შამფურზე აგვაგონ და შაგვწვან, აღარავის ვეცოდებით და ვებრალებით.

— არა, ძმავ, ეხლანდელი მოხელეები მოხელები-კი არა, სოფლიჭამია ნადირები არიან და ქურდებისა და ავაზაკების თავიდა—თაეი ამხანაგებიც. ყაჩაღანასთანა ქურდებს იგრე ხალხის მოსახილებელ გულისათვინა ჰცემენ ხოლმე საქვეყნოთ, თორე მალვით-ფარვით აქეზებენ კიდეც სოფლიჭამია მოხელეები: წადით, იქურდეთ და ფიქრი ნუ გაქვთ, თუ-კი ჩვენც წილს დაგვიდებთ ნაქურდალშიო. ეჰ, ალბათ ჩვენი ცხოვრება აღარ უნდა ზეციერ მამა უფალს, თორე ღვთისნიერი მოხელეები გვეყოლებოდნენ და ეგეთ სულის ამომხდელს უსამართლობის ზღვისოდენა დუხჭირობაში აღარ ვიქნებოდით წლის წლობამდინ ეს ამოდენა ხალხი და დუნია.

— ყოააა! მუუუ!—საცოდავის თვალების ფათურით ეძახდნენ დაკარგულ დედებს ბაკში დამწყვდეული, მშიერი ზაქები და თან რძე-მოწყურებულები ტუჩებს აცმაცუნებდნენ გაშმაგებით დედის ძუძუს მოგონებით საღერღელ აშლილნი.

შიმშილისაგან მიკნავებულ ზაქების სიბრალულით გულ ამღვრებულ და ბოღმა-დარდით გულ-მოკლულ ამირანს დილის ნამივით ბჭყვრიალა ცრემლები ჩამოსდიოდა თეთრს წვერ-ულვაშზედ და მწარე ოხვრა-გმინვით იმეორებდა ამ სიტყვებს საბრალო ზაქების ყოყინზედ:

— მაღალმა ღმერთმა ჰკითხოს თქვენი ცოდვა თქვენი დედების მომპარავ უსულღმერთოს!..

დ. მაჩხანელი

— 12 ოკდომბერს მოხსენდა მოსკოვის სახელოვნებო საზოგადოებას, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა მიეცეს ხაზინიდან 1 მილიონი ამ საზოგადოებას შესაძენად მამულისა მოსკოვში მხატვრობისა, ქანდაკებისა და ხუროთ-მოძღვრების სასწავლებლის საჭიროებათათვისაო.

# უ ც ხ ო ე თ ი

**იაპონია.** გაზ. „დეილი ტელეგ."-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტს ბაასი ჰქონია შეერთებულ შტატების სადიპლომატო წარმომადგენელთან შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა შესახებ.

ამერიკელ დიპლომატს განუცხადებია, —შეერთებული შტატები დიდად მოწადინებულია შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა დაიცვასო. პრეზიდენტ რუზველტსა და გარეშე საქმეთა მინისტრს გეის არა სწადიანთ რაიმე მონაწილეობა მიიღონ ბრძოლაში და განზრახვა აქვთ, თუ საქმეები გართულდა, მხოლოდ მეთვალყურედ დარჩნენო. ვაშინგტონში მაინც იმედოვნებენ, რუსეთსა და იაპონიას შორის ომი არ ასტყდებაო, რადგან არც ერთმა არ იცის, ვის მხარეს იქნებიან სხვა სახელმწიფოები არა თუ ომის დაწყების დროსა, არამედ რამდენისამე თვის შემდეგაც-კი, როცა უცხოელთა აღებ-მიცემობა შესდგება და ყოველი სახელმწიფო დიდ ზარალში იქმნება ამის გამო. ჩვენი სახელმწიფო არასოდეს არ ჩაერევა ომში, თუ ეს ბეჯითად არ მოითხოვა თვით ხალხმა, რომელიც ამ ჟამად წინააღმდეგია, რომ შორეულ აღმოსავლეთის საქმეებს შევეხოთ. კორესპონდენტის აზრით, შეერთებულ შტატების მდგომარეობა მანჯურიის საკითხის შესახებ სრულიად შეიცვალა ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში. ამ ერთის წლის წინად შეერთებული შტატები თხოულობდა,—რუსეთმა პირობებისამებრ უნდა გაიყვანოს მანჯურიიდგან თავისი ჯარებიო; ეხლა-კი შტატები სრულიად კმაყოფილი დარჩება, თუ ხელშეკრულობაში ჩამოვლილ ჩინეთის სანაპირო ნავთსადგურთა კარი ღია იქნება ამერიკელთათვის და, სანამ რუსეთი ამ პირობასაც არ დაარღვევს, შეერთებულ შტატებისათვის სულ ერთია, გაიყვანს რუსეთი მანჯურიიდგან ჯარებს, თუ არაო.

**ინგლისი.** ოკდომბრის 8-ს იოსებ ჩემბერლენმა ტაინემაუტში წარმოსთქვა სიტყვა ისევ სატარიფო საგნის შესახებ.

ზოგიერთნი ჩემნი ამხანაგნიო—სთქვა ორატორმა—არ მოელოდნენ, რომ სამსახურიდგან გამოვიდოდი და ისე შევუდგებოდი ჩემის გეგმის განხორციელებასაო, მაგრამ ეს მათი ბრალი იყო და არა ჩემი. მე პირდაპირ განვაცხადე,—თუ ჩემი გეგმა შეღავათიან ტარიფის შესახებ სამინისტრომ არ მიიღო, უეჭველად თავი უნდა დავანებო სამსახურსა, რომ თავისუფლად ვიმოქმედო და განვუმარტო ინგლისის საზოგადოებას ჩემი პოლიტიკა... არა ვგონებ, საზოგადო არჩევნები ისე მოახლოვებული იყოს, როგორც ჩემი მოპირდაპირენი ჰგონებენ; ამომრჩეველთ საკმაო დრო ექნებათ ყოველივე დაკვირვებით ასწონ-დასწონონ და კარგად ჩაუკვირდნენ საბაჟო რეფორმების საქმეს. ამავე დროს მეც განვაგრძობ ჩემს მოქმედებას (ტაში). თუ შევსძელ და დავაჯერე ხალხი, რომ აუცილებლად საჭიროა ჩემის პროექტების განხორციელება, ჩემი საქმე დაგვირგვინებული იქნება. თუ ახლა ვერ გავიტანე ჩემი, ხელახლად შევუდგები საქმესა და მანამდე არ ვუსუსტებ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ თვით ახალშენები უარ-ჰყოფენ ჩემს გეგმასა, ან კიდევ ინგლისის ერს არ ძალუძს შეიგნოს მისი დიდი მნიშვნელობაო.

# ნ ა რ კ ვ ე ვ ი

„Турк. Вѣд."-ი ახასიათებს ავღანისტანის ემირს და ამბობს, რომ ქვეშევრდომთ იგი მიაჩნიათ განხორციელებად სამართლიანობისაო. მრავალთა შორის ერთს მაგალითს მოვიყვანთო და გვიამბობს შემდეგს:

ერთხელ ემირი მივიდა პარასკევს დღეს ჯამეში სალოცავად. ლოცვის დროს ვიღაც კაცი მიუახლოვდა და თავისი საჩივარი უნდოდა მოეხსენებინა. ჭაბიბულა ხანმა სიდა გაჰკრა მოჩივარს: „აქ ადგილი არ არის საჩივრებისათვისაო"! ლოცვაზედ მდგომს მოაგონდა, რომ უდანაშაულო კაცი დავსაჯეო და ძალიან შეწუხდა. როცა ლოცვა გაათავა, ბრძანა იმ კაცის მოყვანა, რომელსაც ისე სასტიკად მოექცა. „შარიატის წინააღმდეგ მოვიქეციო,—უთხრა ემირმა იმ კაცს,— თქვენ უფლება გაქვთ დაკმაყოფილება მოითხოვოთ. ახლა მე გამარტყით სილა, რომ გავთავისუფლდე ჩემის დანაშაულისაგან". გალახულმა უარი სთქვა და მოახსენა, მიპატიებია, ბატონოკო, მაგრამ ემირმა არ მიიღო პატიება. ბოლოს აბიბულამ აიღო და ერთი მუჭა ოქრო აჩუქა. საჩივრისთვის-კი ცალკე მოდი სასახლეშიო.

# თეატრი და ხელოვნება

### ქართული თეატრი.

ხუთშაბათს, 16 ოკდომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა სამ მოქმედებიანი დრამა, ვ. აბაშიძის მიერ თარგმნილი, „შეშლილია" და კომ. „მშვენიერ ელენეს მაძებარნი". ეს წარმოდგენა მით უფრო იყო საყურადღებო, რომ ამ საღამოს წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა პირველად ავადმყოფობის შემდეგ ჩვენი სასიქადულო მსახიობი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი.

„შეშლილია" უფრო დრამატიული ეტიუდია, სადაც გამოხატულია ფსიხოლოგიური მდგომარეობა კაცისა, რომელიც ეჭვს, სვინიდისის ქენჯნას ისე შეუშფოთებია, რომ სულით ავადმყოფობამდე მიუყვანია.

მცოდნეთათვის მიგვინდვია გამოსარკვევად, თუ რამდენად სწორედ არის გამოყვანილი ამ დრამაში სულიერი მდგომარეობა შეშლილისა; შესაძლებელია თუ არა ასეთი უცები განკურნება კაცისა, რომლის სულიერი მშვიდობაც ერთხელვე დარღვეულა, ან შეეფერება თუ არა მეცნიერულს კანონებს მეთოდი ექიმის გარისონისა; ჩვენ მხოლოდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ის, რის თქმაც ავტორს უნდოდა, ისეთის ძლიერის ხელოვნებით, ისეთის სინამდვილით იყო გამოხატული ვლ. ალექსი-მესხიშვილის მიერ, რომ თქვენი თავი სადმე სულით-ავადმყოფთა თავშესაფარში გეგონებოდათ და არა თეატრში; წარმოგიდგებოდათ, რომ თქვენ წინ მართლა შეშლილია თავისის არეულის ლაპარაკით, ავადმყოფის მიხვრა-მოხვრით, მოძრაობით, და არა ყოვლად ნიჭიერი მსახიობი, რომელსაც ისე შეუგნია მის მიერ შექმნილი ხასიათი კაცისა, რომ ძლიერ ილიუზიამდე მიუღწევია.

ძლიერი იყო შთაბეჭდილება, ვლ. ალექსი-მესხიშვილის თამაშობით გამოწვეული, სრული, უნაკლულო იყო მიმიკური გამოსახვა მსახიობის მიერ შეშლილის სულის მდგომარეობისა, მაგრამ... ხმა, ეს სამკაული, ეს ჯილდო, რომელიც ბუნებას მიუნიჭებია კაცისათვის, რათა მასში გამოიხატებოდეს დარდიცა და სიხარულიც, მოთქმაცა და სიცილიც, გმინვაცა და ჩურჩულიც,—ხმა ისევ ღალატობს მსახიობს და იმავე დროს ღალატობს ქართულს სცენასაც, ღალატობს იმიტომ, რომ მსახიობი, რომელიც არამც თუ ქართულს, უცხო სცენასაც დაამშვენებდა, მსახიობი, რომელიც უკვე დამთავრებულია, რუსები რომ იტყვიან **въ соку**-ო, იძულებულია ამ ბედის უსამართლობის გამო მხოლოდ ნახევრად გამოიჩინოს თავისი ძლიერი ნიჭი. იქ, სადაც მხოლოდ მიმიკაა საჭირო, მაგ. მეორე მოქმედებაში, როცა ლორდ ჰარლეიგი, თავისს ფიქრებში გართული, მთელი თხუთმეტი წუთი ერთ ადგილას ზის,— იქ ალექსი-მესხიშვილი შეუდარებელია და მისი უსიტყვო, უმოძრაო თამაშობა უნაკლულოა!

ლედი ანნას თამაშობდა ქ-ნი კარგარეთელი და ძლიერ ცუდად ჩაატარა თავისი როლი; ამას გარდა, როლის ერთი სიტყვაც არ იცოდა...

ექიმის გარისონის როლი ზედ-გამოჭრილია კ. ყიფიანისათვის. მისი შეგნებული თამაშობა, რიხიანი ხმა, აუჩქარებელი, ჩაფიქრებული მოძრაობა—სწორი დახასიათება იყო გამოჩენილის ექიმისა, რომელსაც ისე სწამს თავისი მეცნიერება, ისე კარგად ჰკითხულობს კაცის სულსა და გულში. კარგი იყო ამ როლში კ. ყიფიანი, მაგრამ, ნუ გაგვიჯავრდება კია და, როლის უცოდინარობა ცოტაოდნად ეტყობოდა.

ნელლის როლს თამაშობდა მ. მდივანი და კარგადაც დაახასიათა გულუბრყვილო ყმაწვილი ქალის მდგომარეობა, რომელსაც არავისი არა სცხელა, მხოლოდ თავისი დარდი აწუხებს.

თანდათან მართლდება ჩვენი აზრი ამ მსახიობ ქალზე. სასცენო ნიჭი, კარგი სკოლა და შეგნებული შესრულება როლისა თავდებია იმისი, რომ თავისს დროზე საუცხოვო მსახიობი ქალი დადგება.

დანარჩენებიც: შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე და გვარამე—მწყობრად თამაშობდნენ და საერთო შთაბეჭდილებას ხელს უწყობდნენ.

დრამის შემდეგ წარმოადგინეს ორ მოქმედებიანი კომედია-ფარსი „მშვენიერ ელენეს მაძებარნი". რაღა თქმა უნდა, რომ ეს კომედია-ფარსი მხიარულად და კარგად ჩაივლიდა, რადგანაც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი საუკეთესო არტისტები: ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი და სვიმონიძე; ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა, მდივანი და სხვ...

თეატრის დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო.

ქ. ყ—ნი.

# დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ოკდომბერი

**პეტერბურგი.** «მართებლობის მოამბეში" დღეს გამოცხადებულია: „ქალაქ ბელგრადის საომეკუნო მოსამართლე იწვევს ყველა, ვისაც-კი რამე პრეტენზია აქვთ სერბიის განსვენებულის მეფის ალექსანდრეს ქონებაზე, გამოცხადდნენ ჩემთან ბელგრადში 27 ოკდომბერს 1903 წ. ცხრა საათზე დილით პირადად, ან გამოგზავნონ რწმუნებული საბუთებით, ანუ ამ დღეს შეგვატყობინონ, რასა და რა საფუძვლით თხოულობენო.

**სევასტოპოლი.** ახალი ჯავშნიანი გემი „პოტემკინ ტავრიჩესკი" გაიტანეს ზღვაში გასაშინჯავად.—დაამტკიცეს წესდება პირველის რუსეთში ამბულატორიისა ჩვენებისათვის საბრძოლველად ტუბერკულოზის წინააღმდეგ.

**ოდესსა.** აკურთხეს ახალი სახლი სიბირიაკოვის სამუდამო დრამატიულ თეატრისა.

**ტოკიო.** რუსეთის ელჩისაგან კამურის ნახვა საიდუმლოებით არის მოცული. მაინც ის აზრია გავრცელებული, რომ ორთავე მხარე თანდათან სამშვიდობო გზას უახლოვდებიანო.

**ბრიუსელი.** გრაფი გრედ-როჟიე დაინიშნა ბელგიის ელჩად პეტერბურგში.

**ბერლინი.** ვისბადენის გაზეთი «რეინის კურიერი» იუწყება, რომ იმპერიის კანცლერი დაესწრობა ხელმწიფე იმპერატორის მიერ იმპერატორ ვილჰელმის ნახვას.

**ტოკიო.** ოფიციალურად უარ-ჰყოფენ საზღვარ გარედ გავრცელებულ ხმებს რუსეთ-იაპონიის კონვენციის გამო.

**პარიჟი.** პატივსაცემლად 200 ინგლისის კომერსანტისა, რომელნიც დღეს მოვიდნენ აქ და დარბაზობა გადაუხადეს ფრანგთა კომერსანტებს, რომელთაც იგინი ნახეს ლონდონში, გაიმართა ბანკეტი კომბისა და ზოგიერთთა მინისტრთა თანადასწრებითა.

**პარიჟი.** გრაფმა ლამზდორფმა და დელკასემ დილით დაათვალიერეს სასახლე და ვერსალის პარკი.

**ვერსალი.** პარკისა და სასახლის დათვალიერების შემდეგ დელკასემ გრაფ ლამზდორფს საუზმე გაუმართა. მინისტრებმა ნახეს ტრიანონი.

**ბუქარესტი.** რუმინიის მეფე უკვე შეიქმნა.

17 ოკდომბერი.

**რომი.** გაზეთების აზრით, ახალს სამინისტროში პორტფელები ასე იქნება განაწილებული: ჯიოლიტტი—მინისტრ-პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ლუსატტი—ფინანსთა, საკკი—სასჯულო საქმეთა, სენატორი ტიტონი—გარეშე საქმეთა, რონკეტტი—ფოსტათა და დემარინისი—მიწად-მოქმედებისა.

**დარმშტადტი.** უმაღლეს გვამთა თანადასწრებით, სასახლის ეკკლესიაში გაიმართა საქველ-მოქმედო აზრით კონცერტი რუსეთის სასახლის მომღერალთა გუნდისა.

**გროზნი.** დაიწყო თერგის ნავთის მრეწველთა მეშვიდე კრება.

**სოფია.** პორტა აგვიანებს რეფორმების შესახებ ახალ წინადადებათა განხილვას იმ იმედით, რომ რომელიმე სახელმწიფო მხარს დაუჭერსო; პორტა მიზეზებს ეძებს წინააღმდეგ იმოქმედოს, რადგან ეფიქრება ალბანელთა უკმაყოფილებისა. ამის გამო უსახელო წერილებს უგზავნიან სტამბოლის საელჩოებს.

მონასტირის ვილაიეტში კვლავ ბრძოლაა; როდივიჩის ოლქში საშინელს მხეცობას ჰადრულობენ ალბანელი ჯარისკაცები.

ხელჯოხიანებისაგან ოპოზიციის კანდიდატთა დევნა არა სცხრება, კანდიდატს სამიროვს ბრალსა სდებენ ერთ-ერთ თავის მოწინააღმდეგის მოკვლისას იამბოლში. პოლიცია ხელჯოხიანებს ჰფარავს.

**პარიჟი.** ლუბემ პეტერბურგში ამ საღამოს ლი გაუმართა გრაფ ლამზდორფს.

**სოფია.** სალონიკის რკინის გზის ლიანდაგზედ, გევჩელის მახლობლად, სცდილობდნენ მატარებლის აფეთქებას. ამის გამო აღმოსავლეთის რკინის გზათა საზოგადოებამ პორტას მკაცრად დაწერილი ქაღალდი მიართვა, რომ ყოველი ღონისძიება იღონოს და დაიცვას რკინის გზის ლიანდაგი. ამასთანავე საზოგადოებამ გამოუცხადა პორტას, თუ ჩვენს შეამდგომლობას არ აასრულებთ, ღამღამობით მატარებელთა მოძრაობა შეწყვეტილ იქმნებაო.

ბულგარიაში დაბრუნდნენ რამდენიმე ჯუფთნი, რომელნიც აჯანყებულთა უფროსის გენერალ ცონჩევის ხელქვეით მოქმედებდნენ.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო" იუწყება,—როგორც პეტერბურგიდგან მოსულ ცნობათაგან სჩანს, რუსეთ-იაპონიის უთანხმოებამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ იმედია საქმე კეთილად გადაწყდებაო.

**პეტერბურგის ბირჟა** 4 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,90 |
| პარიჟში 100 ფრანკში | $37,32^1/_2$ |
| ლონდონში ჩეკები | 94,55 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | $5—6^1/_2\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $99^1/_2$ |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | $90^3/_4$ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | $95^1/_8$ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 443 მყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 332 წვ. გაყიდ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | $282^3/_4$ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2\%$ ობლიგაც იმავე საზოგადოებისა | — |
| $4^1/_2\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა | $91^1/_4$ გაყ. |
| 5% ქუთ. სა მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ. | 9625 გაყ. |
| აქციები. ,, ,, ,, | 472 |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 3850 გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა დაამხ. | $193^1/_2$ წვ. გაყ. |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. | — |

**გამოსადეგი ცნობები.**

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

**ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი**

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუზულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა. კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი [illegible] ტილია; ზაფხულობითაც 15 [illegible] დაკეტილია.

**კავკასიის მუზეუმი**

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიური სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

**ე ქ ი მ ი**

**ბესარიონ კაკოვი**

სწამლობს განსაკუთრებით ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობას. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა ორშაბათისა და შაბათისა საღამოს 5—7 საათზედ. სხვა დროს მიღება შესაძლოა წინადვე შეთანხმებით. კუკია, რეუტოვის ქუჩა № 26, ავჭალის ქუჩის კუთხეში.

(10—8)

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა" № 63.

შოთა რუსთაველის

**ვეფხის ტყაოსანი**

4 პორტრეტით და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და ოითო ცალი ღირს ერთი მან.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

**ქაჯანა**

მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.

2.

**ა ლ ი**

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

ს ა წ ე რ ა ქ ა ღ ა ლ დ ი ს

მოსკოვი 1882 წ. **დიტიატკოვსკის ამხანაგობა** ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

ქაღალდი სათოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66.

(30—6.—30)


Дозв. цензурою, Тифлисъ 17 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи дროებით-რედაქტორი ბ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.